საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხარიტონაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	84	100

სახელი, გვარი: თ. [illegible]

თარიღი : 9.07.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ნინო ხარიტონაშვილის

შეფასების დასაბუთება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1, 35^1, 36^3 მუხლების საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების მახასიათებლებისა და კომპეტენტურობის მახასიათებლების გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: ნინო ხარიტონაშვილი - დაბადებული 1981 წლის 12 მაისს, უმაღლესი იურიდიული განათლებით (თსუ); სამართლის დოქტორი, სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატის" იურიდიული სამსახურის სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 17 წელი.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის გადახდისას, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი დაჯარიმებულია საგზაო

მოძრაობის წესების დარღვევებისათვის, ჯარიმები გადახდილია დროულად, ნინო ხარიტონაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამ მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.

კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი. რეკომენდატორები კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის მიმართ, გამოთქვამენ მოსაზრებას სამართლიანობის, პასუხისმგებლობის გრძნობის, პრინციპულობის შესახებ. გასაუბრების მიმდინარეობის დროს არ გამოკვეთილა კანდიდატის მიკერძოების შემთხვევები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამ მახასიათებელს აკმაყოფილებს სრულად.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხარიტონაშვილი იყო მოსარჩელე სამოქალაქო საქმეში, შრომით დავებთან დაკავშირებით. მისი მხარედ ნონაწილეობის დროს, რაიმე არასათანადო ქცევა მისი მხრიდან არ გამოვლენილა. ნინო ხარიტონაშვილის დაზარალებულად ცნობის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამ მახასიათებელს აკმაყოფილებს სრულად.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, რეკომენდატორები უთითებენ ნინო ხარიტონაშვილის კომპეტენტურობაზე, ანალიზისა და მოსაზრებათა მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარზე. ასევე რეკომენდატორი უთითებს კანდიდატის სისუსტესა და ნაკლოვანებას, კერძოდ, რეკომენდატორის აზრით, კანდიდატი ხისტად იცავს საკუთარ პოზიციას, თუმცა პრობლემის გაანალიზების შემდეგ შეუძლია დაინახოს პოზიციის ნაკლოვანებები. ნინო ხარიტონაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

2004 წელს კანდიდატს მიღებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მადლობა, ასევე 2012 წელს სს ,,თი ბი სი" ბანკის გენერალური დირექტორის მადლობა, 2016 წელს კი სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატის" თავმჯდომარის მადლობა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამ მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს.

5. **ფინანსური ვალდებულება:**

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში აქვს მსუბუქი ავტომანქანა, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრშიმის სახელზე რეგისტრირებულია შპს ,,მიდვეი კაფეს" 25%-იანი წილი, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 25 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 25 ქულა;

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 20 ქულა;

დ) პროფესიული თვისებები - 15 ქულა;

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 10 ქულა;

ვ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შესაფასებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გამოითხოვოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი კარგად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლ ნორმებს, კანდიდატის მიერ წარმოდგენილია სტატია სამართლებრივ თემაზე: „მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში". სტატიაში მიმოხილულია მესამე პირების უფლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. 2018 წელს კანდიდატმა დაიცვა დისერტაცია თემაზე „მესამე პირები სამოქალაქო პროცესში", გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ კანდიდატის სასამართლო პრაქტიკის კუთხით არ აქვს სიღრმისეული ცოდნა. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 20 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

წარმოდგენილი პუბლიკაციის გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ კანდიდატს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, ანალიტიკური აზროვნება. კანდიდატი აზრს გადმოსცემდა გასაგებად, გასაუბრებისას მისი პასუხები იყო არგუმენტირებული. ისაუბრა სამართლიანი სასამართლოს შემადგენელ კომპონენტებთან დაკავშირებით, პასუხი - ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან

დაკავშირებით შესაძლოა ყოფილიყო უფრო არგუმენტირებული შესაბამისი გადაწყვეტილების მაგალითზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 20 ქულით.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

გავეცანი რა კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს, მივიჩნევ, რომ სასვენ ნიშნებს ძირითადად იყენებს სწორად, აზრი ძირითად შემთხვევებში ჩამოყალიბებულია გამართულად. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ გააჩნია სხვისი აზრის მოთმენით მოსმენის უნარი, საუბრობს აკადემიური ენით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 16 ქულით.

4. პროფესიული თვისებები:

პროფესიული თვისებების მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებას კანდიდატის სამართლიანობასა და კომპეტენტურობაზე, გამოარჩევენ პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, ანალიზისა და მოსაზრებათა მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის პროფესიულ თვისებებს ვაფასებ 14 ქულით.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის

ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი არის სამართლის დოქტორი, მას მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში: ნოტარიატი - ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირი, ნოტარიატის მსოფლიო უნივერსიტეტი - სასწ. კურსი, რომი, იტალია; საბაზისო კურსი მედიაციაში - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და ედვარდსის მედიაციის აკადემიის ერთობლივი პროგრამა - ტრენინგი, თბილისი; ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი - WIPO-ს აკადემია, საქპატენტი - ტრენინგი, თბილისი; ადმინისტრაციული სამართლის ფორუმი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის - ტრენინგი, თბილისი; საერთაშორისო კონფერენცია „საოჯახო საკუთრების რეჟიმები 2016/1103/1104 რეგულაციებთან მიმართებაში" - ტრენინგი, ბუდაპეშტი, უნგრეთი; საჯარო პოლიტიკის ანალიზი, პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში" - მთავრობის ადმინისტრაცია, UNDP - ტრენინგი, თბილისი; სიახლეები საჯარო სამსახურის გავლის წესში და სისტემაში გასატარებელი ცვლილებები - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი, თბილისი.; დროის მართვა და გუნდური მუშაობა - სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი; ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი, თბილისი; პრეზენტაციის უნარები და წერილობითი კომუნიკაცია - USAID - ტრენინგი, თბილისი; სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში - USAID - ტრენინგი, თბილისი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის აკადემიური მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 9 ქულით.

6. პროფესიული აქტივობა:

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.

კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ავტორია შემდეგი სალექციო კურსის: ,,შედარებითი სამოქალაქო პროცესი"; კითხულობს ლექციებს სამოქალაქო პროცესში, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში, სანოტარო სამართალში, შემუშავებული აქვს მოდული საქართველოში შრომის სამართლის განვითარებაზე.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია და მონოგრაფია, მათ შორის: - ,,მესამე პირების საპროცესო სამართალში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)", გამომცემლობა ,,ბონა-კაუზა"; მედიაცია ქართულ ნოტარიატში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,ცხოვრება და კანონი" N4(32), 2015; - 2008 წელი, ,,კერძო საჩივარი" სსიპ ,,ახალციხის ინსტიტუტი", სამეცნიერო კონფერენცია და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 5 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ **ნინო ხარიტონაშვილს** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ **84** ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს წევრი თეა ლეონიძე თ.

თარიღი: 9.07.2021